

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 55) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის დ1) ქვეპუნქტი:

„დ1) გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვა საჯარო სამსახურში მოსამსახურეთა შერჩევისა და დანიშვნისას;“

2. მე-19 მუხლის პირველ პუნქტს ბოლოში დაემატოს შემდეგი წინადადება:

„დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ უნდა ლახავდეს გენდერული თანასწორობის პრინციპებს და არ უნდა იწვევდეს დისკრიმინაციას სქესობრივი ნიშნის მიხედვით.“

3. 41¹ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოსამსახურეს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევა ანაზღაურებადი შვებულება 180 კალენდარული დღის, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 210 კალენდარული დღის ოდენობით. მოსამსახურეს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებასთან დაკავშირებით ეძლევა კანონმდებლობით დადგენილი დახმარება“.

4. 55-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის დ) ქვეპუნქტი:

„დ) არღვევს გენდერული თანასწორობის პრინციპებს ან/და იწვევდეს დისკრიმინაციას სქესობრივი ნიშნის მიხედვით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან.